ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს

ქალბატონ ელენე დუმბაძეს

ქალბატონო ელენე,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ 2016 წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლის რაოდენობა 10 ფურცელი
№ 410/17627 25.10.16წ.

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის

2016 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ მე-5 მოწვევის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" წევრი, საკრებულოს განათლებისა და კულტურის და სარევიზიო კომისიების წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული სხდომების, ბიუროების და კომისიების მუშაობაში მონაწილეობა

- 2016 წელს ჩატარდა საკრებულოს 24, ბიუროს 24, ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართვლოსთვის" 9 სხდომა.
- მიღებულია 313 განკარგულება და 68 დადგენილება.

კომისიური მუშაობა

- განათლებისა და კულტურის კომისიამ 2016 წლის განმავლობაში ორგანიზება გაუწია კომისიის 14 სხდომის მომზადებას, რომელზეც განხილულ იქნა 31 საკითხი, მათ შორის:
- ავადობის პრევენციისა და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებში.

- „თბილისის მუნიციპალიტეტის მახათას საქალაქო სასაფლაო-1-ისთვის პანთეონის სტატუსის მინიჭება.
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს როლი თბილისის ბაგა-ბაღების მონიტორინგის პროცესში.
- სსიპ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლისთვის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
- თბილისის „ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის", ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ. თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ ქ. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ. თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ. თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ. თბილისის სოსო წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმისა" და ა(ა)იპ „ქ. თბილისის თოჯინების მუზეუმის" რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" შექმნის მხარდაჭერის შესახებ;
- „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი" ნატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი"-ნატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №128 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ.
- მახათას მთის მიმდებარედ არსებული პანთეონისთვის „ახალი პანთეონის" სახელის მინიჭების თაობაზე საკითხის განხილვა;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
- სსიპ ქ. თბილისის N113 საჯარო სკოლისთვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ ორგანიზებულ შემდეგ ღონისძიებებში:

- თბილისის საკრებულოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს, თბილისის მერიასა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და განათლებისა და მეცნიერებისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებთან.
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და „ქალთა ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციას" (AIWA) შორის.

სარევიზიო კომისიას 2016 წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს 10 სხდომა. ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობების, სსიპ-ებისა, შპს-ებისა და ააიპ-ების სახით 313 სამსახური ირიცხება. აღნიშნული სამსახურების საბიუჯეტო თანხებისა და მიღებული შემოსავლების ხარჯვის კანონიერებასა და მიზნობრიობის შემოწმებას სარევიზიო კომისია ახორციელებს. შემოწმდა 21ორგანიზაცია. იმ ორგანიზაციებში, რომლებშიც გამოვლინდა დარღვევები, საკითხები გაიგზავნა შესაბამისი რეაგირებისათვის.

მოქალაქეებთან შეხვედრები

საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია 3889 განცხადება. განცხადებებზე კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში მოხდა სათანადო რეაგირება, უმეტესი ნაწილი, შუამდგომლობის შედეგად, დაკმაყოფილდა შესაძლებლობის ფარგლებში, ნაწილზე კი მიმდინარეობს მუშაობა.

ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი კვირის ოთხშაბათს მოქალაქეებთან შეხვედრა. წლის დასაწყისიდან დღემდე გაიმართა შეხვედრა 670 მოქალაქესთან, რაც ითვალისწინებს მათი პრობლემების გაცნობასა და შემდგომ მოგვარებას. ძირითად საჭიროებებად იკვეთება ინფრასტრუქტურული, სოციალური და დასაქმების პრობლემები. ქალაქის მთავრობასთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა, როგორიც არის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და გზის საფარის მოწესრიგება, ავარიული სახლების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი დედაქალაქისათვის. გარდა მოქალაქეებთან საკრებულოში შეხვედრებისა, ვახორციელებ გასვლით შეხვედრებს დედაქალაქის ათივე რაიონში საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად. ისინი ემსახურება ჩვენი თანამოქალაქეებისათვის აქტუალური საკითხების უკეთ გაცნობას დედაქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, ურბანული, დასაქმებისა და სხვა პრობლემების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით და მათზე შემდგომ რეაგირებას.

ინფორმაცია საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან და ქალაქ თბილისის მთავრობასთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობთ დედაქალაქის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვაში. პერიოდულად ვისმენთ მერიის სამსახურების ანგარიშს, ვიძლევით რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ სამომავლო გეგმებს.
მათ შორისაა 2016 წლის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამები, რომელთაგან გამოვყოფ:

- ადრეული ბუმბუს კიბოს მკურნალობის დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან.
- კომუნალური სუფსიდირების პროგრამა, რაც ითვალისწინებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადის სუფსიდიის

დარიცხვას. კომუნალური სუფსიდიის გარდა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ფულადი დახმარებაც ერიცხებათ.

- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების გაწევა.
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.
- შშმ მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა.
- ომის ვეტერანთა დახმარება.
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა.
- ცხელი სადილის ლოკაციების მომსახურება.
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია.
- საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომელიც მოიცავს ონკოპრევენციის პროგრამის, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამის, ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში (30 წლამდე ასაკის) ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამის განხორციელების წესებს.
- საკრებულოს მიერ დამტკიცდა ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა". აქვე აღვნიშნავ, რომ დედაქალაქის მერია და საკრებულო ურთიერთთანამშრომლობით მოქმედებს შშმ პირებთან მიმართებაში. ეს გამოიხატება მათთვის ადაპტირებული გარემოს არსებობაში, როგორებიცაა პანდუსები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლიფტები. ასევე, მათ სრული თავისუფლება აქვთ ჩაერთონ საკრებულოს ცხოვრებაში და დაესწრონ სხდომებს.
- დამტკიცდა C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების განხორციელების წესი.
- ასევე მნიშვნელოვანია „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი.
- საკრებულოს წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სახელმწიფო საქველმოქმედო ფონდ „სოლიდარობის" საქმიანობაში.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე, იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნიათ თბილისში და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, დამტკიცებული იქნა რეგულირების წესი სოციალური დახმარებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ.

- მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს დედაქალაქის მდგრად განვითარებას და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნას. უახლოეს მომავალში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკუმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.
- 2016 წლის ბიუჯეტით გაიზარდა დაფინანსება "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის," რომელიც მიზნად ისახავს პროგრამის ეფექტიანობის გაფართოებას, ბინათმესაკუთრეებისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარებას, პროგრამისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვას და პროგრამის პროცესის გამარტივებას.

საკრებულომ დაამტკიცა დედაქალაქის გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც პასუხობს შემდეგ ძირითად გამოწვევებს:

- თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა;
- გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- შემუშავდა ცხოველთა დაცვის წესი.

სტრატეგიის განხორციელებით მიიღწევა მთავარი მიზანი - „თბილისი მწვანე ქალაქი", რაშიც იგულისხმება დედაქალაქის ეკოლოგიურად სუფთა პოლისად გადაქცევა და მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს პირობების შექმნა.

- საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული იქნა წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად განადგურებული და დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის, დაზარალებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე. სატრანსპორტო საშუალება რომელზეც გაიცემა ფულადი დახმარება იყოფა ორ კატეგორიად. ამ ეტაპზე ხელშეკრულება გაფორმებულია 146 დაზარალებულ პირთან.

დედაქალაქის საკრებულო აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობაში. სწორედ ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა საგადასახადო შეღავათები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე, რაც მხოლოდ სიმბოლური გადასახადით გამოიხატება. ამ

მიმართულებით გრძელდება მუშაობა, რათა რაც შეიძლება უფრო მეტმა ადამიანმა ისარგებლოს აღნიშნული შესაძლებლობებით.

ეს არის მცირე ჩამონათვალი ჩვენ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. სრული ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დაწვრილებით და დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (http://tbsakrebulo.gov.ge/).

მონაწილეობა სხვადასხვა შეხვედრასა და აქტივობაში

საკრებულოში ფუნქციონირებს მუნიციპალიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან მერი, ვიცე-მერი, მერის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე და ფრაქციების წარმომადგენლები. საბჭოს მუშაობის მიზანია მერიასა და საკრებულოს შორის ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირებული მუშაობა დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ინვესტიციების მოზიდვისა და შემდგომი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით საკრებულოში ვმასპინძლობთ უცხო ქვეყნების დელეგაციებს. მივიღეთ ჩინეთის დელეგაცია. ჩინელ ბიზნესმენებთან შეხვედრა ორ დამეგობრებულ ქალაქს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებდა. ასევე, საკრებულოს წევრებთან ერთად გაიმართა საქმიანი შეხვედრა ჩინეთის პროვინცია განსუს წარმომადგენლებთან და ეგვიპტის ურბანული ჰარმონიის ეროვნული ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან.

აქტიურად ვარ ჩართული ფრაქცია "ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველოსთან" არსებული ეროვნულ უმცირესობათა საკორდინაციო საბჭოს მუშაობაში. საკრებულო თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოში.

მიმდინარე წელს საკრებულოს წევრებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეხვედრები გაიმართა ვაშინგტონის სკოლამდელი შშმ პირთა საგანმანათლებლო და ზედამხედველობის ცენტრის ხელმძღვანელებთან. ვიზიტისას გაგვაცნეს მათ მიერ შემუშავებული სპეციალური სამედიცინო პროგრამა, რომელიც შშმ ბავშვებში განვითარების ადრეულ ეტაპზე ხორციელდება. ვაშინგტონის შშმ პირთა საგანმანათლებლო და ზედამხედველობის ცენტრის წარმომადგენლებმა ქართულ მხარესთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნა და სპეციალისტების გადამზადების კუთხით დახმარების სურვილი გამოთქვეს.

ამავე ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გავმართეთ გარემოს დაცვისა და ენერგორესურსების სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორ ტომ ველსთან, აგრეთვე, ამავე დეპარტამენტისა და

ამერიკის ტყის მეურნეობის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ქალაქების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო პრიორიტეტები. ასევე, შევხვდით ვაშინგტონის მუნიციპალიტეტის პარკებისა და რეკრეაციის დეპარტამენტის უფროსს კეი ანდერსონს. ამავე დარგის სპეციალისტებთან ერთად საუბარი შეეხო ქალაქის კეთილმოწყობას, მწვანე სივრცეების დაგეგმარებას და ახალი შენობების მშენებლობის რეგულაციებს.

ქალაქ ატლანტის ქართულ დიასპორასთან და საქართველოს საპატიო კონსულთან შეხვედრისას განვიხილეთ 2017 წელს ატლანტა- თბილისის დამმობილების 30 წლის იუბილესთან დაკავშირებულ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის მონაწილეობის საკითხი.

ვიზიტის ბოლოს შეხვედრები გავმართეთ ქალაქ ნიუ-იორკში საგანგებო მდგომარეობის მართვის ოფისის ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე გაგვაცნეს აღნიშნული სამსახურის მუშაობის სპეციფიკა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით ქალაქის კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელების პროცესი.

მიმდინარე წლის აპრილში საკრებულოს წევრებთან ერთად სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი პოლონეთში, ქალაქ კრაკოვოში გამართულ „ადგილობრივი მმართველობის ევროპულ კონგრესზე.“ კრაკოვში თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო 6 -კაციანი დელეგაციით წარსდგა. აღნიშნული კონგრესის მთავარი მიზანი იყო შეხვედრები საჯარო მოხელეებთან, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და ერთმანეთისათვის საჭირო გამოცდილების გაზიარება. კონგრესის მიმდინარეობისას საქართველოს გამოყოფილი ჰქონდა საკუთარი კუთხე, სადაც მსურველები ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ტურისტულ პოტენციალს ეცნობოდნენ.

ასევე მნიშვნელოვანი იყო საკრებულოს წევრებთან ერთად ვიზიტი ჩეხეთის რესპუბლიკაში.შეხვედრისას პრაღის მერიის გარემოს დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ , ბატონმა რადიმ პოლაკმა წარმოადგინა პრეზენტაცია ნარჩენების გადანუშავების საკითხებზე. შეხვედრისას გავეცანით ქ.პრაღის გამოცდილებას კომუნალური და საყოველთაო ნარჩენების დახარისხება - სეპარაციის შესახებ. ვნახეთ გადამამუშავებელი ქარხნის მუშაობის პროცესი. აღმოჩნდა, რომ ნარჩენების გადამუშავებისას მხოლოდ ეს ქარხანა ელექტროენერგიით 20000 ოჯახს ამარაგებს. იგი საათში 15 ტონა ნარჩენს გადაამუშავებს. ვიზიტის ფარგლებში ასევე შევხვდით პრაღის მერიის სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რომლებმაც ისაუბრეს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

საკრებულოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პოლონეთში, ქ.კრინიცაში, 6-8 სექტემბერს გამართულ 26-ე ეკონომიკურ ფორუმში. ფორუმზე გამოვედი მოხსენებით „მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გამოწვევა და საუკეთესო პრაქტიკა.“ ინტელექტუალურ რესურსს თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს,

რადგან 21-ე საუკუნეში არსებული კონკურენციის პირობებში, უპირატესობას აღწევს ის, ვინც ბაზარს ინოვაციებს სთავაზობს. ეს კი ახალი ბაზრის შექმნას უწყობს ხელს.

2016 წელს გაიხსნა 7 ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი, რომელთა მშენებლობა 2015 წელს დაიწყო. მიმდინარეობს კიდევ 4 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომელიც უახლეოს მომავალში დასრულდება.

დასრულდა მშენებლობა კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის. ახალი მაგისტრალი სოლოლაკის ქუჩებს საცობებისაგან მნიშვნელოვნად განტვირთავს და კრწანისიდან შინდისში ასვლას 5 წუთში გახდის შესაძლებელს.

განახლდა მუნიციპალური ტრანსპორტი. დედაქალაქის ტერიტორიაზე 10 ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი, შშმ პირთათვის სრულად ადაპტირებული ავტობუსი ივლის. ლურჯი ფერის ავტობუსები, რომელთა სიგრძე 12 მეტრია 85 მგზავრის გადაყვანას შეძლებს.

2016 წელს დაფინანსდა „შაჰტახტის დედაციხისა" და „თრელიგორების ნასახლარის" ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის პროექტები.

მიმდინარე და სამომავლო გეგმები

ანგარიშის ბოლოს მინდა მოკლედ შევეხო სამომავლო გეგმებს და ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქში შემოვიდეს ბევრი ინვესტიცია, რომელიც დედაქალაქის განვითარებას უკავშირდება. საკრებულოს თავმჯდომარეობა, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობაა ჩვენი ქალაქის და იმ გუნდის წინაშე, რომელმაც ეს ნდობა გამომიცხადა. თბილისელების წინაშე მდგარ გამოწვევებს კარგად ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, მათი მოგვარება ეკონომიკურად ძლიერი დედაქალაქის პირობებშია შესაძლებელი. საბედნიეროდ,როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნები ჩვენით სულ უფრო მეტად ინტერესდებიან, ეს კი მეტი ინვესტიციის მოზიდვის წინაპირობაა. მასშტაბური პროექტების განხორციელება ჩვენი დედაქალაქისათვის უდაოდ მნიშვნელოვანია, რათა მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას და მოსახლეობა დასაქმდეს. ქალაქის საჭიროებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკრებულოს კომისიების აქტიური მუშაობა ისეთ საკითხებზე, იმ კანონპროექტებზე, რომლებიც თითოეული მოქალაქის ყოველდღიურობასა და მათი ცხოვრების პირობებს გააუმჯობესებს.

ვიმედოვნებ, რომ მომავალი წელი ჩვენი დედაქალაქისთვის მასშტაბური პროექტების განხორციელების წელი იქნება.